ფ/პ პაატა გირმისაშვილი, მის: ქ. ყვარელი. ი. ჭავჭავაძის ქუჩა N 89; ტელ: +995577105367

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

N0321-01

25-03-2021

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ ფ/პ პაატა გირმისაშვილი (ს/კ: 45001003018) ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. შილდას ტერიტორიაზე, 2003 წლიდან ფლობს თევზსაშენ მეურნეობას, თევზსაშენი ტბორის მოცულობა შეადგენს 37500 მ³-ს, ხოლო ფართობი 2500 მ²-ს. თევზსაშენი მეურნეობა განთავსებულია შემდეგ საკადასტრო კოდით მითითებულ ტერიტორიაზე: ს/კ: 57.07.65.013. თევზსაშენ მეურნეობაში არ ხდება ტბორში გამოზრდილი თევზების რაიმე ფორმით გადამუშავება, მეურნეობაში ხორციელდება დაახლოებით წელიწადში 1,5–2 ტონა თევზის შემდეგი სახეობის გამოზრდა პირადი მოხმარების მიზნით: კობრი (გოჭა) და ჩვეულებრივი სქელშუბლა.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე, წარმოდგენილმა პროექტმა გაიარა სკოპინგის პროცედურა და მასზე 2020 წლის 6 იანვარს გაცემულია N1 სკოპინგის დასკვნა (ბრძანება N 2-42; 21-01-2020).

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-11 მუხლის საფუძველზე წარმოგიდგენთ ,,ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. შილდას მიმდებარე ტერიტორიაზე ფ/პ პაატა გირმისაშვილის თევზსაშენი ტბორის ექსპლუატაციის პროექტი''-ს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზემპლარი;
2. არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი;
3. ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი - 2 ეგზემპლარი;
4. საქმიანობის განმახორციელებლის ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - 1CD;
5. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
6. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) -ს სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

პატივისცემით,

პაატა გირმისაშვილი

№ 5361
26 03 2021
1/2CD+3